იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01 ოქტომბერი 2017 წ.

ერთი მხრივ, შპს „აბანო N7“ (ს/კ 202451364, მის: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ალ. მირცხულავა ქ, №3ა ბ.79) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვაჟა ჩუბინაშვილის** (პ/ნ 01028004521) სახით (შემდგომში „**მეიჯარე**“)

და

მეორე მხრივ, შპს „ბოჰემა“ (ს/კ 404521415, მის: საქართველო, ქ. თბილისი ძველი თბილისის რაიონი, ანტონ კათალიკოსის ჩიხი, №3) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაზა ცერცვაძის (პ/ნ 54001002287)** სახით (შემდგომში „**მოიჯარე**“);

ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე დროებით სარგებლობაში იღებს მეიჯარის საკუთრებაში არსებულ 698.00 კვმ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 633.80 კვ.მ. სამეურნეო (კომერციულ) ფართს (შემდგომში „იჯარის საგანი“), ხოლო მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.

1.2. იჯარის საგნის მახასიათებლებია:

- საკადასტრო კოდი: N 01.18.04.019.036
- მისამართი: ქ. თბილისში, ქუჩა გრიშაშვილი N 11 /ქალაქი თბილისი, ქუჩა გრიშაშვილი N 11 მიმდებარედ
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- დაზუსტებული ფართობი: 698.00 კვ.მ.
- ნაკვეთის წინა ნომერი:01.18.04.019.020;
- შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1
- შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 633.80 კვ.მ.

1.3. იჯარის საგანი მოიცავს მასზე დამონტაჟებულ გათბობა-გაგრილების, უსაფრთხოების და სხვა მსგავსი საკუთვნებლის სისტემებს.

1.4. იჯარის საგანი მოიჯარეს გადაეცემა კაფე-ბარის/რესტორნის ფუნქციონირების მიზნით.

1.5. ქონებაზე საიჯარო ურთიერთობის წარმოშობისათვის ხელშემშლელი უფლება რეგისტრირებული არ არის.

1.6. საიჯარო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მეიჯარეს, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის ამონაწერით რ/ნ 892017079443.

1.7. ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. აღნიშნულის შესახებ ცნობილია მოიჯარისთვის, რომელსაც გადაეცა

„მეიჯარე“ ვაჟა ჩუბინაშვილი

„მოიჯარე“ ზაზა ცერცვაძე

შესაბამისი დოკუმენტაცია (საგადასახადო დავალიანების გადახდის გადავადების შესახებ 2017 წლის 28 მარტის ხელშეკრულება №2017-439). არსებული საგდასახადო ვალდებულების გადახდას ახდენს მეიჯარე, რომელიც აცხადებს, რომ თუ კი საგადასახადო ვალდებულებიდან გამომდინარე, მოიჯარეს ხელი შეეშლება საიჯარო ქონებით სარგებლობაში, ის სრული მოცულობით აუნაზღაურებს მოიჯარეს მიყენებულ ზიანს და გადაუხდის პირგასამტეხლოს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეფერხების/შეწყვეტის შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის და მხარეთა შორის 4.8. პუნქტით შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობით და პირობების შესაბამისად.

1.8. მეიჯარე აცხადებს და ადასტურებს, რომ გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 1.7. პუნქტში მითითებული ვალდებულებისა, საიჯარო ქონებაზე სხვა რაიმე უფლება/ვალდებულება არ არსებობს მესამე პირების მხრიდან/სასარგებლოდ და ასეთის არსებობის შემთხვევაში მას ეკისრება პასუხისმგებლობა მოიჯარის წინაშე იმ ფორმით მოცულობით (პირგასამტეხლოს ჩათვლით) რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 1.7. პუნქტში.

1.9. საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად, მხარეებს შორის შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც აისახება ქონების რეალური მდგომარეობა.

2. საიჯარო ქირა და გადახდის პირობები

2.1. მხარეთა შეთანხმებით, საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება წინასწარი გადახდებით, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის 7 (შვიდი) რიცხვისა უნაღდო ანგარიშწორების გზით. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მოიჯარე გადახდას ახდენს მომდევნო სამუშაო დღეს.

2.2. ვინაიდან ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის საიჯარო ფართზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და მისი გამოყენება კომერციული (სახელშეკრულებო) მიზნებისთვის შეუძლებელია, მხარეთა შეთანხმებით, რესტორნის (კაფე-ბარი) გახსნამდე საიჯარო ქირა შეადგენს 500 (ხუთას) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.3. რესტორნის გახსნის შემდეგ იჯარის საგნით სარგებლობის ყოველთვიური საფასური (შემდგომში „საიჯარო ქირა“) შეადგენს 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.4. საიჯარო ქონების და ყველა სხვა საბიუჯეტო გადასახადების გადახდას ახდენს მეიჯარე კანონმდებლობის შესაბამისად (დამატებითი ღირებულების გადასახადის) გარდა, რომელსაც იხდის მოიჯარე.

2.5. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ვალუტის (ლარის) კურსი აშშ დოლართან მიმართებაში გადაცდება (გაუფასურდება) ნიშნულს 1 აშშ დოლარი = 3.0 ლარი, ან ეროვნული ვალუტის (ლარის) კურსი აშშ დოლართან მიმართებაში ჩამოცდება (გამყარდება) ნიშნულს 1 აშშ დოლარი = 2,5 ლარი, მხარეები მოახდენენ საიჯარო ფასისი კორექტირებას 15 % ფარგლებში.

2.6. ანგარიშსწორება საიჯარო ფართისათვის ხორციელდება შპს „აბანო №7"-ის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

„მეიჯარე“ „მოიჯარე“

2.2.1. მიმღები: შპს „აბანო N7“

2.2.2. ანგარიშსწორების ანგარიში: GE83BG0000000265155800

2.2.3 ბანკის დასახელება: სს საქართველოს ბანკი

2.7. მხარეთა შეთანხმებით, მოიჯარე წინამდებარე ხელშეკრულების 2.3. მუხლში მითითებული საიჯარო ქირის გადახდას იწყებს რესტორნის ფუნქციონირების დაწყებიდან ორი თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 01 მარტისა. იმის გათვალისწინებით, რომ მოიჯარემ იჯარის საგანზე უნდა განახორციელოს სარემონტო სამუშაოები, რომლის ვადაც არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამ) თვეს, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში და რესტორნის ფუნქციონირების დაწყებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, საიჯარო ქირა შეადგენს 500 (ხუთას) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

2.8. მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ქირასთან ერთად გადაიხადოს იჯარის საგნის შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები და ამ მიზნით, იჯარის მოქმედების მთელ პერიოდში აბონენტად დარეგისტრირდეს შესაბამისი კომუნალური და სხვა მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება, ინტერნეტი და ა.შ).

2.9. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ქირის გადახედვა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 2 (ორ) წლიწადში ერთხელ. ამასთან, ცვლილება არ უნდა აღემატებოდეს/მცირდებოდეს საიჯარო ქირის 12 (თორმეტი) %–ს. შეთანხმების მიუღწევლობა არ შეიძლება გახდეს ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

2 მხარეთა ვალდებულებები

3.1. მეიჯარე უფლებამოსილია:

3.1.1. მოსთხოვოს მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.1.2. მოითხოვოს მოიჯარის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს იჯარის საგანს წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისთვის ან აზიანებს მას;

3.1.3. იჯარით გადაცემულ ფართში შევიდეს დაუბრკოლებლად და ნებისმიერ დროს დაათვალიეროს/ შეამოწმოს საიჯარო ქონება.

3.1.4. მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მნიშვნელოვნად გაუარესების ან ასეთი გაუარესების საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მოიჯარეს მოსთხოვოს საიჯარო ქონების აღდგენა, ქონების გაუარესების საფრთხის აღკვეთა ან/და ზიანის ანაზღაურება.

3.1.5. გაასხვისოს საიჯარო ქონება, თუ მოიჯარე უარს განაცხადებს საიჯარო ფართის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე. ქონების გასხვისების შემთხვევაში, შემძენი იკავებს მეიჯარის ადგილს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობებით.

3.1.6. ექვსი თვის საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მოიჯარეს ქონების გათავისუფლება.

„მეიჯარე“ „მოიჯარე“

მეიჯარე ვალდებულია:

3.2.1. მოიჯარეს საიჯარო ქონება გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში. უფლებრივად უნაკლოს ცნებაში იგულისხმება, რომ სხვა უფლებები/მოთხოვნები მესამე პირებს საიჯარო ქონებაზე, გარდა 1.7. პუნქტში მითითებული უფლებებისა არ გააჩნიათ. ხოლო ნივთობრივად უნაკლო ნივთის ცნება წინამდებარე ხელშეკრულებისათვის განისაზღვრება თანდართული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელშიც აღწერილი იქნება საიჯარო ქონების რეალური მდგომარეობა მოიჯარისათვის გადაცემის მომენტში.

3.2.2. საიჯარო ქონების ნაკლი, რომელიც არ ეცნობა მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე და აღნიშნული ნაკლი ხელს უშლის მოიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობაში, აღკვეთოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა მისი ხასიათი ან აუნაზღაუროს მოიჯარეს ამ ნაკლის გამოსწორებისთვის გაწეული ხარჯები.

3.2.3. ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა სათანადო საბუთის მიღებაში, რისი საჭიროებაც მას წარმოეშობა იჯარით გადაცემული ქონებით სარგებლობისას.

3.2.4. არ ჩაერიოს მოიჯარის საქმიანობაში საიჯარო ფართის გამოყენებისას და უზრუნველყოს მის მიერ საიჯარო ქონებით შეუფერხებელი სარგებლობა.

3.2.5. კეთილსინდისიერად შეასრულოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობები.

3.3. **მოიჯარე უფლებამოსილია:**

3.3.1. მოსთხოვოს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3.2. კანონის მოთხოვნათა დაცვით, ტერიტორიაზე განათავსოს მისი ან მასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის საგანთან დაკავშირებული რეკლამა;

3.3.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დააზღვიოს იჯარის საგანი ხანძრისგან ან/და სხვა რისკებისგან;

3.3.4. საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს უსაფრთხოების აღჭურვილობა და დაცვის სხვა საშუალებები იჯარით მიღებული ფართის შიდა და გარე პერიმეტრზე.

3.3.5. საკუთარი შეხედულებისამებრ და ხარჯით მეიჯარის თანხმობის ან/და ნებართვის გარეშე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს ინტერიერი, განათავსოს სარეკლამო აბრები და ა.შ.

3.3.6. მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებით, საიჯარო ფართზე მოახდინოს უმრავი ქონების რეკონსტრუქცია და ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები, მათ შორის კაპიტალური სახის;

3.3.7. ისარგებლოს საიჯარო ქონებით სრული მოცულობით კომერციული მიზნებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ამ ფართში საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი,კაფე-ბარი) კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას.

3.3.8. მის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, საიჯარო ქონების მესაკუთრის ან მეიჯარის შეცვლისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე შეუფერხებლად განაგრძოს ხელშეკრულების საგნით სარგებლობა.

3.3.9. მოიჯარე უფლებამოსილია გამოიყენოს საიჯარო ქონება მისი დანიშნულებისამებრ, როგორც პირადი საჭიროებისათვის, ისე მეიჯარესთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, გასცეს ქვეიჯარით (გააქირავოს) მისი ნაწილი ან მთლიანი ფართი მესამე პირ(ებ)ზე.

„მეიჯარე“

გაგა ჩუბინაშვილი

„მოიჯარე“

მოიჯარე ვალდებულია:

3.4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობით გადაიხადოს საიჯარო ქირა და დაკავებული ფართის კომუნალური გადასახდელები არსებული ტარიფებით;

3.4.2. დაფაროს ნებისმიერი ხარჯი, რაც დაკავშირებულია იჯარის საგნით სარგებლობასა და მის ჯეროვან მოვლასთან;

3.4.3. ისარგებლოს იჯარის საგნით წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიზნით, გაუფრთხილდეს მას და მიიღოს ყველა ზომა საიჯარო ქონების გამართული მდგომარეობის შესანარჩუნებლად;

3.4.4. აანაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგა მეიჯარეს მოიჯარის ან მისი წარმომადგენლების მოქმედებით ან უმოქმედობით;

3.4.5. შეინარჩუნოს იჯარის საგნის მდგომარეობა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით;

3.4.6. არ დაუშვას იჯარის საგნის ფუნქციის შეცვლა მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;

3.4.7. მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობაში არსებული მოწყობილობების და ინვენტარის, აგრეთვე, არსებული საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები;

3.4.8. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იჯარის საგნის დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეიჯარეს და მისი მითითების შესაბამისად, აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;

3.4.9. აცნობოს მეიჯარეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საიჯარო ქონებაზე.

3.4.10. ხელშეკრულების ვადის გასვლიდან არანაკლებ 30 (ოცდაათ) დღეში გაათავისუფლოს საიჯარო ქონება და ჩააბაროს მოიჯარეს იმავე მდგომარეობაში (იგულისხმება სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ არსებული მდგომარეობა), ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით და ყველა გაუცალკევებელი გაუმჯობესების ჩათვლით;

4. მხარეთა პასუხისმგებლობა (პირგასამტეხლო, საჯარიმო სანქციები) და ზიანის ანაზღაურების პირობები

4.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასათანადოდ შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

4.3. ხელშეკრულების პირობების დამრღვევმა მხარემ სრული მოცულობით უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

4.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოიჯარეს საურავის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადადამდგარი დავალიანების 0.05 %-ის ოდენობით.

4.5. მხარეთა შეთანხმებით, მოიჯარეს ეძლევა საშეღავათო პერიოდი 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე, რომლის განმავლობაშიც ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საურავის 0,05 %-ს დარიცხვა არ განხორციელდება.

4.6. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე საიჯარო ქირის გადახდას დააგვიანებს/გადააცილებს 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტი ვადით, საურავის დარიცხვა განხორციელდება საშეღავათო პერიოდზეც.

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარეს შეეზღუდება იჯარის საგნით სარგებლობის უფლება მეიჯარის ბრალით, იგი უფლებამოსილია შეზღუდვის მთელ პერიოდზე არ გადაიხადოს შესაბამისი პერიოდის საიჯარო ქირა. ამასთან, მეიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მოიჯარეს მიყენებული ზიანი, ხელშეკრულების შეფერხების/შეწყვეტის გამო მიუღებელი შემოსავლის ოდენობით.

4.8. მხარეთა შეთანხმებით, მეიჯარის მხრიდან ცალმხრივად, დაუსაბუთებლად ან/და მისი მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ასევე ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას, იგი ვალდებულია მოიჯარეს გადაუხადოს ერთჯერადი პირგასამტეხლო, რაც შეადგენს 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს. პირგასამტეხლო ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარე არის გონივრული, უპირობო და ცვლილებას არ ექვემდებარება. აღნიშნული პირგასამტეხლოს ოდენობა მოიცავს მოიჯარისათვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანს, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და განაცდურის სახით.

5. განსაკუთრებული პირობები, სარემონტო სამუშაოები.

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელმომწერ მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა და საქმიანობის განვითარება, შესაბამისად ქირავნობის/იჯარის უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს და საგამონაკლისო დათქმებს უპირატესი ძალა გააჩნიათ.

5.2. ამ ხელშეკრულებაში სტანდარტული ნორმები და დათქმები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ამ ხელშეკრულებაში განსაკუთრებული პირობები და საგამონაკლისო დათქმები განიმარტება ისე, როგორც დაადგინეს მხარეებმა.

5.4. მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებსა და სამოქალაქო კოდექსის ნორმებს შორის კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თითოეული მხარე მოვალეა ხელი შეუწყოს მეორე მხარეს ნაკისრი მოვალეობების შესრულებაში და იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე.

5.6. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დეტალური და დამატებითი ჩამონათვალი მითითებულია ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლებში, რაც არ გამორიცხავს და ავსებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ მათ უფლება-მოვალეობებს.

5.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ დამატებით პირობებზე, რაც გაფორმდება წერილობითი სახით, დაერთვის ამ ხელშეკრულებას და განიხილება მის შემადგენელ ნაწილად.

5.8. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის სათანადო წესით დამოწმებული და გაცვლილი წერილობითი და ბუღალტრული დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან, ასევე მხარეების ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის განხორციელებული საკომუნიკაციო ჩანაწერები, რომლებიც ასახავენ მხარეთა შორის

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

საქმიან/პარტნიორულ ურთიერთობებს განიხილება ამ ხელშეკრულის შემადგენელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად.

9. მეტი სიცხადისათვის მხარეები ადასტურებენ, რომ მოიჯარის მიერ გასაწევი სარემონტო სამუშაოების პროექტი და საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა შეთანხმებულია მხარეებს შორის. ამასთან რეალურად გაწეულმა დანახარჯმა შორის არ უნდა გადააჭარბოს 350 (სამას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს.

6. უფლებამონაცვლეობა, უპირატესი შესყიდვის უფლება.

6.1. მოიჯარე უფლებამოსილია მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ქვეიჯარით გასცეს იჯარის საგანი ან მისი ნებისმიერი ნაწილი. დადგენილი პირობების თანახმად, მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეიჯარის პირობები (მათ შორის, ქვეიჯარის ვადა, იჯარის საგნის მოვლა და ა.შ.) შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარეს გააჩნია უპირატესი შესყიდვის უფლება საიჯარო ქონებაზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მეიჯარე მიიღებს ქონების გასხვისების გადაწყვეტილებას იგი ვალდებულია ანალოგიური შეთავაზება გაუკეთოს მოიჯარეს და მისცეს გადაწყვეტილების მისაღებად არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა. თუ მოიჯარე აღნიშნულ ვადაში არ ისარგებლებს ქონების უპირატესი შესყიდვის უფლებით, მეიჯარეს უფლება აქვს გაასხვისოს ქონება, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

6.3. იჯარის საგნის მესამე პირზე გასხვისების შემთხვევაში, იჯარის საგნის ახალი მესაკუთრე ხდება მეიჯარის უფლებამონაცვლე იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ახალი მესაკუთრე უარს აცხადებს გააგრძელოს წინამდებარე ხელშეკრულება, ხელშეკრულება შეწყდება, ხოლო შპს ,,აბანო №7" (ს/კ 202451364) ვალდებულია საიჯარო ქონების გასხვისებამდე გადაუხადოს მოიჯარეს შეთანხმებული პირგასამტეხლო 4.8 პუნქტის შესაბამისად.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ ახალი მესაკუთრე გააგრძელებს წინამდებარე ხელშეკრულებას იგივე პირობებით, რაც შეთანხმებულია თავდაპირველ მოიჯარესა და თავდაპირველ მეიჯარეს შორის იგი ხდება ყველა შეთანხმებული სამართალურთიერთობის მონაწილე, მათ შორის 4.8 პუნქტში მითითებული პირობების ჩათვლით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტის პირობები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს ხუთი წლის ვადით, 2017 წლის 01 ოქტომბრიდან 2022 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

7.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი პირობებით:

7.2.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

7.2.2. იჯარის საგნის გასხვისების შემთხვევაში, თუ ახალი მესაკუთრე არ არის თანახმა გაგრძელდეს წინამდებარე ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მეიჯარე შპს ,,აბანო №7" (ს/კ 202451364) ვალდებულია გადაუხადოს მოიჯარეს შეთანხმებული პირგასამტეხლო 4.8 პუნქტის შესაბამისად.

„მეიჯარე"

„მოიჯარე"

თუ მოიჯარე გახდება გადახდისუუნარო;

4. თუ მოიჯარე უხეშად ან/და არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და აღნიშნული დარღვევა არ იქნება გამოსწორებული შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

7.2.5. თუ მოიჯარე განზრახ ან დაუდევრობით არსებითად აუარესებს იჯარის საგნის მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება მეიჯარეს;

7.3. თავის მხრივ მოიჯარეს უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე ყოველგვარი კანონისმიერი ან/და დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე, მეიჯარისათვის აღნიშნული შესახებ შეწყვეტამდე არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ შემთხვევაში მას მეიჯარის მხრიდან აუნაზღაურდება მხოლოდ საიჯარო ქირაზე გაწეული სარემონტო ხარჯები, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის, ან საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დამრღვევმა მხარემ, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებისა (ზიანი, საჯარიმო სანქცია, პირგასამტეხლო), ასევე სრულად უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარჯები (ოფისის დაცლა, იჯარის შეწყვეტის რეგისტრაცია და სხვა მსგავსი ხარჯები).

7.5. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და საიჯარო ქირა, დაცალოს-გაათავისუფლოს იჯარის საგანი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა გაფორმდეს იჯარის საგნის მიღება-ჩაბარების აქტი.

7.6. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადასცეს იჯარის საგანი პირვანდელ მდგომარეობაში (გაწეული სარემონტო/მათ შორის კაპიტალური რემონტის ჩათვლით), ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის საგნიდან გაიტანოს მხოლოდ ის მოძრავი ნივთები, რომელთა მოშორებაც შესაძლებელია ქონების დაზიანების გარეშე და რომელიც შეძენილია მის მიერ, ხოლო იმ მოძრავი ნივთების ღირებულება, რომელთა მოცილებაც შეუძლებელია ქონების დაზიანების გარეშე და შეძენილია მოიჯარის მიერ, მეიჯარის მხრიდან იქნება ანაზღაურებული, მათი ღირებულების შესაბამისად, თუ მხარეების სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ.

7.7. იჯარის საგანზე ხელშეკრულების გაფორმებამდე დამონტაჟებული გათბობა-გაგრილების, ვენტილაცია–კონდენცირების, უსაფრთხოების და სხვა მსგავსი საკუთვნებლის სისტემები, ტექნიკა (მაცივრები, გაზქურები და სხვ), ჩაშენებული ავეჯი, მათ შორის, სამზარეულო, რჩება მეიჯარეს.

7.8. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარის მიერ იჯარის საგნით სარგებლობა ფაქტობრივად გაგრძელდა, რისი წინააღმდეგიც არ არის მეიჯარე, ხელშეკრულება ყოველ ასეთ ჯერზე გაგრძელებულად ჩაითვლება ერთი თვის ვადით, იმავე პირობებით.

8. დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესი

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

.1. მხარეთა შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ მხარეებს შორის შემათანხმებელი პროცედურის გზით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

8.2. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღებული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ რომელიმე მხარემ თავი აარიდა შეთანხმებულ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს ამ შეთანხმებით დადგენილ არბიტრაჟს დავის გადასაწყვეტად.

8.3.მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ (DRC-ს, რომლის საიდენტიფიკაციო კოდი 204547348 იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71,ოფისი 35/1; ვებ გვერდი: www.drc-arbitration.ge). მხარეები თანხმდებიან, რომ DRC-ის გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე ექვემდებარება აღსრულებას სასამართლოს მიერ ცნობის საჭიროების გარეშე.

8.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მოქმედი სამართალი მხარეთა შორის დავის გადასაწყვეტად არის საქართველოს კანონმდებლობა.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისგან თუ ის გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების შედეგად. (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოს აქტით და ა.შ)

9.2. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთვევაში, მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.3. იმ შემთხვევაში თუ ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივობა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტხანს გაგრძელდა ან მისი დადგომისთანავე ცხადი გახდა, რომ მოქმედება (ოცდაათი) დღეზე მეტხანს გაგრძელდება მხარეები წყვეტენ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობის საკითხს. ხელშეკრულების ამგვარი მოშლის დროს მხარეები 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ასწორებენ ყველა ადრე არსებულ ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ.

10. შეტყობინებები

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, უნდა შესრულდეს წერილობით და მეორე მხარეს უნდა ჩაბარდეს (ა) პირადად, (ბ) რეგისტრირებული ფოსტით, რომელიც იძლევა შესაბამის ქვითარს, ან (გ) მხარეთა მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.

10.2. ფოსტით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება მხარეებს უნდა გაეგზავნოთ ქვემოთ მოცემულ მისამართებზე, რომელთა შეცვლაც შესაძლებელია წინამდებარე მუხლით განსაზღვრული წესით შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. წინამდებარე მუხლის თანახმად გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება (ა) პირადი ჩაბარების თარიღზე, (ბ) ფოსტის მიღების თარიღზე, ან (გ) ელექტრონული ფოსტის გაგზავნის მომდევნო სამუშაო დღეს.

„მეიჯარე“ „მოიჯარე“

10.3. ხელშეკრულებაში მითითებული მხარეთა მისამართების და რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა წერილობით უნდა შეატყობინონ მეორე მხარეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

11. კონფიდენციალურობა

11.1. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ წინამდებარე ხელშეკრულებასთან, მის დებულებებთან, მოლაპარაკებებთან, ტრანზაქციასთან და ზოგადად გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა და მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობით;

11.2. მხარეები უზრუნველყოფენ წინამდებარე მუხლის დებულებების შესრულებას მათი დასაქმებულების და ნებისმიერი იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს წვდომა მხარეების ხსენებულ ინფორმაციაზე;

11.3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები ძალაში რჩება ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგაც.

11.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის გამო მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, წერილობითი ფორმით.

12.2 ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ყველა გარიგება, რომელიც დადებულია ამავე მხარეებს შორის ამავე საგანზე და მიმოწერა ძალას კარგავს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

12.4 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არამარტო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

12.5 ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

12.6 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას.

12.7 ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

12.8 ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

„მეიჯარე“

„მოიჯარე“

12.9 ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეებისა, თუ სამართალმემკვიდრეებისათვის.

12.10 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე გაგზავნილი კორესპონდენცია ჩაითვლება ჩაბარებულად.

12.11 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურს.

ხელშეკრულებას ვადასტურებთ ხელმოწერით:

1. მეიჯარე

შპს „აბანო N7“ (ს/კ 202451364)

მის: საქართველო, თბილისი,

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,

ალ. მირცხულავა ქ, №3ა ბ.79

დირექტორი

ვაჟა ჩუბინაშვილი

2. მოიჯარე

შპს ბოჰემა (ს/კ404521415)

მის:საქართველო, ქ. თბილისი

ძველი თბილისის რაიონი, ანტონ კათალიკოსის ჩიხი, №3

დირექტორი

ზაზა ცერცვაძე

დანართი დოკუმენტები:
-ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ.
-შპს ,,აბანო №7" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
-შპს ,,ბოჰემა"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
-მინდობილობები გაცემული გიორგი სვანიძის სახელზე.
-შპს ,,აბანო №7" პარტნიორთა კრების ოქმი.
-შპს ,,ბოჰემა"-ს პარტნიორთა კრების ოქმი.
-(საგადასახადო დავალიანების გადახდის გადავადების შესახებ 2017 წლის 28 მარტის ხელშეკრულება №2017-439) .

„მეიჯარე“

ვაჟა ჩუბინაშვილი

„მოიჯარე“

ზაზა ცერცვაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171392949
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.11.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ედიბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მოსკოვის გამზირი #5 ბ. 40
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	270 48 73
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	99300788929017

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ჩვიდმეტი წლის ოცდაცხრა ნოემბერს, მე, ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზ. №5, ბ.40 მომმართეს ზაზა ცერცვაძემ და ვაჟა ჩუბინაშვილმა. მათ მოითხოვეს მათ მიერ წარმოდგენილ უძრავი ქონების (ს/კ 01.18.04.019.036) იჯარის ხელშეკრულებაზე, როგორც მოიჯარემ და მეიჯარემ, მათივე ხელმოწერების სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. ზაზა ცერცვაძემ განაცხადა, რომ არის შპს „ბოჰემა"-ს (ს/კ 404521415) დირექტორი „მოიჯარე", ხოლო ვაჟა ჩუბინაშვილმა განაცხადა, რომ არის შპს „აბანო №7"-ის (ს/კ 202451364) დირექტორი „მეიჯარე". მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებლი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზაზა ცერცვაძემ (დაბად. 23.06.1968, მისამართი: ჭიათურა ს. ვაჭევი, პირადი ნომერი 54001002287, პ/მ 15IF20726, გაც. 29.11.2016წ) და ვაჟა ჩუბინაშვილმა (დაბ: 22.04.1973, პირადი ნომერი: 01028004521, მისამართი: თბილისი ლილოს დას. IV კვ. კორ. 1 ბ. 40, პირადობის მოწმობა 13IF22671, გაც: 09.07.2014) მომმართეს. მათ ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემიტანია. შემდეგ, განვუმარტე მათ, რომ გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა. ამასთან, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო. აღნიშნული განმარტების შემდეგ, ამ პირებმა წარმოდგენილ დოკუმენტს, ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 132.00 (ასოცდათორმეტი) ლარი სამი ეგზემპლარისთვის და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი. სულ გადახდილია 134.00 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე ედიბერიძე

აკინძულია
ფურცელი